

ტვინების ბრძოლა

საქალაქო ჩემპიონატი | გაზაფხული 2025

U5 (III, IV, V კლასები)

12 აპრილი

1. 5-ქულიანი შეკითხვა

ზოგიერთი კვლევის თანახმად, იქსი სიცოცხლეს ახანგრძლივებს. თუმცა, საინტერესოა, რომ ფილოსოფოსი ქრისტიანე დაილუპა ძალზე სახალისო ხუმრობის თემის შემდეგ, იქსის დროს დაასახელეთ იქსი ექვსასოიანი სიტყვით.

პასუხი: სიცილი

კომენტარი: მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სიცილს შეუძლია სიცოცხლის გახანგრძლივება. თუმცა, გადმოცემის თანახმად, ბერძენი ფილოსოფოსი ქრისტიანე დაილუპა საკუთარ ხუმრობაზე ძალიან დიდხანს სიცილის შემდეგ.

წყარო: [ბმული](#); [ბმული](#)

2. 6-ქულიანი შეკითხვა

სანამ საათის გამოყენება პოპულარული გახდებოდა, დროის გასაზომად ხშირად ანთებდნენ სპეციალურ იქსებს, რომლებსაც მიხატული ჰქონდა ხაზები. როცა ერთი ხაზი დაინვებოდა, ეს ერთი საათის გასვლას ნიშნავდა. ამერიკაში, სახლებში ყოველდღიურად 23 ხანძარი ჩნდება იქსის გამო. დაასახელეთ იქსი შვიდასოიანი სიტყვით.

პასუხი: სანთელი

კომენტარი: საუკუნეების წინ დროის გაზომვისთვის ანთებდნენ სპეციალურ სანთლებს, რომლებსაც ხაზები ჰქონდა მიხატული და თითოეული ხაზი ერთ საათს შეესაბამებოდა. აშშ-ში სანთლის უყურადღებოდ გამოყენება საშუალოდ 23 ხანძარს იწვევს დღეში. “ანთება” და “დანვა” დამატებით მინიშნებას წარმოადგენდა სანთელზე.

წყარო: [ბმული](#)

3. 7-ქულიანი შეკითხვა

ვაგრძელებთ თემას! უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ კალიფორნიის შტატში მდებარე ერთ-ერთი იქსი 1901 წლიდან ანთია და დღემდე მუშაობს. ერთი კვლევის თანახმად, საკლასო ოთახში ცუდი იქსის დაყენებამ შესაძლოა, თავის ტკივილი და მხედველობის პრობლემა გამოიწვიოს. დაასახელეთ იქსი ექვსასოიანი სიტყვით.

პასუხი: ნათურა

კომენტარი: ამ შეკითხვით გავაგრძელებთ სინათლის წყაროების თემატიკა. როგორი დაუფერებელიც არ უნდა იყოს, დღემდე მოღწეული უძველესი მოქმედი ნათურა 1901 წლიდან ანთია. საკლასო ოთახში დიდ დროს ვატარებთ, ამიტომ მნიშვნელოვანია, ოთახში ხარისხიანი ნათურა გამოვიყენოთ.

წყარო: [ბმული](#)

4. 5-ქულიანი შეკითხვა

ნიგნში “პეპი გრძელწინდა”, პეპი იძინებს ასე, რის გამოც ბალიში უცნაურ ადგილას აღმოჩნდება ხოლმე. ცნობილ მოთხრობაში, ბიჭი ტყუილად იხედება ნიგნში, რადგან ნიგნი უჭირავს ასე. დაწერეთ სიტყვა, რომელიც შევცვალეთ სიტყვით “ასე”.

პასუხი: უკულმა

კომენტარი: პეპი საწოლში უკულმა წვება, რის გამოც ბალიშზე ფეხები უდევს თავის ნაცვლად. ცნობილ მოთხრობაში “თხა და გიგო”, გიგოს უნდა, ბეჯითი გამოჩნდეს, თუმცა ნიგნი უკულმა უჭირავს და შიგნით ტყუილად იხედება.

წყარო: ასტრიდ ლინდგრენი “პეპი გრძელწინდა”; იაკობ გოგებაშვილი “თხა და გიგო”

5. 6-ქულიანი შეკითხვა

ეს ცხოველი იმდენად ნელა გადაადგილდება, რომ ხშირად მის სხეულზე ხავსიც კი იზრდება. მისი სახელი ქართულ ენაში სავარაუდოდ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ამ ცხოველს დღის განმავლობაში 15 - 18 საათი სძინავს. არ დაიზაროთ და დაასახელეთ ეს ცხოველი შვიდასოიანი სიტყვით.

პასუხი: ზარმაცა

კომენტარი: ეს ცხოველები ცნობილი არიან იმით, რომ ძალიან ნელა გადაადგილდებიან და უმეტეს დროს ძილში ატარებენ. შესაძლოა, სწორედ ამ მიზეზით ეწოდათ “ზარმაცა”. სიტყვები “არ დაიზაროთ” დამატებითი მინიშნება იყო ზარმაცაზე.

წყარო: [ბმული](#); [ბმული](#).

6. 7-ქულიანი შეკითხვა

იქსის შესახებ ვიკიპედიის სტატიაში შევხვდებით სიტყვებს “წვიმა” და “ელექტრობა”. იქსი ჩამოვარდნის დროს იმდენად ცხელია, რომ მისი ტემპერატურა მზის ზედაპირის ტემპერატურას ხუთჯერ აღემატება. დაასახელეთ იქსი ხმოვანზე დაწყებული ოთხასოიანი სიტყვით.

პასუხი: ელვა

კომენტარი: ჰაერი ელექტრობის ცუდი გამტარია, რის გამოც ელვა ჰაერს ძალიან აცხელებს და ჩამოვარდნის მომენტში მზის ზედაპირის ტემპერატურასაც კი აღემატება. ელვა ბუნებრივი მოვლენაა, რომელიც გიგანტურ ელექტრულ განმუხტვას წარმოადგენს და ხშირად ვხედავთ წვიმიან ამინდში.

წყარო: [ბმული](#); [ბმული](#)

7. 5-ქულიანი შეკითხვა

იქსი 2005 წელს შეიქმნა და მას შემდეგ იქ დაახლოებით 5 მილიარდი ვიდეოა ატვირთული. საინტერესოა, რომ იქსზე არსებულ ყველაზე პოპულარულ ვიდეოს 15 მილიარდზე მეტი ნახვა აქვს. დაასახელეთ იქსი არაქართული სიტყვით.

პასუხი: YouTube

ჩათვლა: იუთუბი

კომენტარი: 2005 წლიდან დღემდე იუთუბზე მილიარდობით ვიდეოა ატვირთული. იუთუბის ყველაზე პოპულარული ვიდეოს - “Baby Shark Dance”-ის ნახვების რაოდენობა დედამიწის

მოსახლეობის რაოდენობას მკვეთრად აღემატება, რაც ნიშნავს, რომ ბევრ ადამიანს ეს ვიდეო არაერთხელ აქვს ნანახი.

წყარო: [ბმული](#); [ბმული](#)

8. 6-ქულიანი შეკითხვა

[კაპიტნების რაუნდი. თითოეული გუნდის სათამაშო მაგიდასთან უნდა დარჩეს ერთი მოაზროვნე.]

ზოგიერთი სახეობის ბაყაყი **ზამთარში აკეთებს ამას**, ხოლო **თბილი ამინდის** დადგომასთან ერთად **ჩვეულებრივად აგრძელებს სიცოცხლეს**. **წყალი ამას აკეთებს ნულ გრადუსზე**. დანერეთ **სიტყვა**, რომელიც **შევცვალეთ** სიტყვებით “აკეთებს ამას”.

პასუხი: იყინება

კომენტარი: ზოგიერთი ბაყაყის ორგანიზმი იმდენად ადაპტირებულია ცივ პირობებთან, რომ ზამთრობით სრულად იყინებიან, ხოლო გაზაფხულზე გალღვებიან და ჩვეულებრივად აგრძელებენ ცხოვრებას. წყალი იყინება, როცა ტემპერატურა ნული გრადუსია ცელსიუსით.

წყარო: [ბმული](#)

9. 7-ქულიანი შეკითხვა

შვეიცარიის კანონების მიხედვით, თუ **ზღვის გოჭის ყოლა** გინდათ, აუცილებლად უნდა იყოლიოთ **სულ მცირე ორი** ზღვის გოჭი **მანც**. **მიზეზი** ისაა, რომ ზღვის გოჭებს **არ უყვართ ამის გაკეთება**. თქვენი **გუნდის** ერთ-ერთ **წევრს** ამის გაკეთება **ახლახანს მოუწია**. გამოიცანით, **რა შევცვალეთ** სიტყვებით “ამის გაკეთება”.

პასუხი: მარტო დარჩენა

ჩათვლა: აზრობრივად სწორი პასუხები

კომენტარი: ზღვის გოჭებს კომპანიონის ყოლა სჭირდებათ, რადგან მათ არ უყვართ მარტო დარჩენა. ამიტომ, კანონი შვეიცარიის მოქალაქეებს უკრძალავს მხოლოდ ერთი ზღვის გოჭის აყვანას.

წყარო: [ბმული](#)

10. 5-ქულიანი შეკითხვა

[დასარიგებელი მასალა]



გასულ წლებში ონლაინ თამაში “Among Us” ძალიან **პოპულარული** გახდა. ერთი **პროფესიის** წარმომადგენელმა **მადლობა** გადაუხადა თამაშის **შემქმნელებს** იმის გამო, რომ თამაშმა ადამიანები **კოსმოსით დაინტერესა**. დასახელებთ ეს პროფესია **ათასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ასტრონავტი

ჩათვლა: კოსმონავტი

კომენტარი: დარიგებულ მასალაზე **Among Us**-ის პერსონაჟები არიან გამოსახული, რომლებსაც სკაფანდრები აცვიათ. კოსმოსის პოპულარიზებაში განეული დახმარებისთვის თამაშის შემქმნელებს მადლობა გადაუხადა ერთ-ერთმა ასტრონავტმა.

წყარო: [ბმული](#)

11. 6-ქულიანი შეკითხვა

ერთხელ **პეპი** გრძელწინდა **ტომთან** და **ანიკასთან** ერთად **იქსში წავიდა**, სადაც ნახა **ცხენზე მოჯირითე, ბაგირზე მოსიარულე** და **მსოფლიოში ყველაზე ძლიერი კაციც**. თურმე იქსში მონაწილე **შემსრულებლები** თან ატარებენ **სპილოს თმას**, რათა **იღბალი** მუდამ თან სდევდეთ. დაწერეთ იქსი ერთი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ცირკი

კომენტარი: ცირკი არის ადგილი, სადაც სხვადასხვა ნიჭის მქონე ადამიანების ნახვაა შესაძლებელი. ცირკის შემსრულებლების საქმიანობა საკმაოდ სახიფათოა, რის გამოც შემსრულებლები იღბლისთვის სპილოს თმას ატარებენ. სპილოს, ისევე როგორც სხვა გარეული ცხოველების, ნახვა არაერთ ცირკშია შესაძლებელი.

წყარო: ასტრიდ ლინდგრენი “პეპი გრძელწინდა”, [ბმული](#)

12. 7-ქულიანი შეკითხვა

სიტყვებით “**იქსი**” და “**იგრეკი**” შეცვლილია **თითო-თითო სიტყვა**.

პლანეტა **ვენერას** საკუთარი **ლერძის გარშემო** შემოსაბრუნებლად **უფრო დიდი დრო** სჭირდება, ვიდრე **მზის გარშემო** ერთი სრული წრის შესასრულებლად. ამიტომ, ვენერაზე **იქსი უფრო გრძელია**, ვიდრე **იგრეკი**. **სამნიშნა** რიცხვით დაწერეთ, **რამდენი იქსისგან** შედგება **დედამიწის იგრეკი**.

პასუხი: 365

ჩათვლა: 366

კომენტარი: დედამიწისგან განსხვავებით, ვენერა საკუთარი ლერძის გარშემო შემობრუნებას **243** დედამიწურ დღეს ანდომებს, ხოლო მზის გარშემო ერთ წრეს სულ რაღაც **224** დედამიწურ დღეში ასრულებს. ამიტომ, ვენერაზე ერთი დღე უფრო დიდხანს გრძელდება, ვიდრე ერთი წელიწადი. დედამიწის წელიწადი შედგება **365** დღისგან, ნაკიან წელიწადში კი - **366** დღისგან.

წყარო: [ბმული](#)

13. 5-ქულიანი შეკითხვა

იქსის გადაკეცვა 42-ჯერ რომ იყოს შესაძლებელი, მისი **სისქე დედამიწიდან მთვარემდეც** კი მიაღწევდა. დაწერეთ იქსით **შეცვლილი სიტყვა** პასუხის **ფურცელზე**, თუ გეტყვით, რომ იქსი **ამ შეკითხვაშიც ვახსენეთ**.

პასუხი: ფურცელი

კომენტარი: თაბახის ფურცლის თანაბრად გადაკეცვა მხოლოდ რამდენჯერმეა შესაძლებელი. საინტერესოა, რომ მისი გადაკეცვა ზუსტად 42-ჯერ რომ იყოს შესაძლებელი, ფურცლის სისქე მთვარემდეც კი მიაღწევდა. სიტყვა “ფურცელი” თავად შეკითხვაშიც იყო ნახსენები.

წყარო: [ბმული](#)

14. 6-ქულიანი შეკითხვა

ამ პლანეტას ასეთი ფერი იმიტომ აქვს, რომ მისი ზედაპირი **მტვერთან** ერთად დაფარულია **დაჟანგებული რკინის** მინერალებით. ამ პლანეტის **სახელი** დაკავშირებულია **რომაული მითოლოგიის ღმერთთან**. დაასახელეთ ეს პლანეტა.

პასუხი: მარსი

კომენტარი: მეცნიერებმა დაადგინეს, რომ პლანეტა მარსის მონიტალო შეფერილობის მიზეზი დაჟანგებული რკინის მინერალების სიმრავლეა. პლანეტას ეს სახელი ომის ღმერთის გამო ეწოდა, რომელიც წითელ ფერთან და სისხლთან არის დაკავშირებული. ჩვენ დავიცავით მზის სისტემაში მეორე, მესამე და მეოთხე პლანეტების მიმდევრობა - ჯერ დავსვით შეკითხვა ვენერაზე, შემდეგ დედამიწაზე, ბოლოს კი მარსზე.

წყარო: [ბმული](#); [ბმული](#)

15. 7-ქულიანი შეკითხვა

ერთ სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ **რაც უფრო ძველია ვიოლინო**, მით უფრო **ტკბილი** და **სასიამოვნო ჟღერადობა** აქვს. ერთმა **ინგლისურ ენაზე მოსაუბრე** ბლოგერმა **ვიოლინო შეადარა სასმელს**. დაასახელეთ ეს სასმელი **ხუთასოიანი** სიტყვით.

პასუხი: ღვინო

კომენტარი: ბლოგერმა ახსენა, რომ როგორც ვიოლინო იძენს წლების გასვლასთან ერთად უფრო დახვეწილ ხმას, ისე ღვინო იძენს სიძველესთან ერთად უფრო დახვეწილ გემოს. ინგლისურ ენაში პოპულარულია იდიომა “ages like wine” (ღვინოსავით ძველდება), რაც გულისხმობს, რომ რაღაც საგანი ასაკთან ერთად უკეთესი ხდება, როგორც ღვინო.

წყარო: [ბმული](#); [ბმული](#)